ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანალიზი

აკრედიტაციის სფერო:

სამშენებლო ობიექტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის/ინსპექტირება.

ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან (საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ობიექტი:

თბილისი, კაიროს ქუჩა №15

დამკვეთი:

შპს „გეოარქი“ ს/კ 205073711

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი

არქიტექტორი დავით კურდღელია (პ/ნ 19001006629). არქიტექტორად მუშაობის სტაჟი-14 წელი. ტელ. 555 55 55 30

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განცხადების შინაარსი:

ქალაქ თბილისში, კაიროს ქუჩა №15-ში ერთსართულიანი სასაწყობე შენობის პროექტის შესაბამისობის დადგენა „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნების ტექნიკურ რეგლამენტთან (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2017/01/28. შეტანილი ცვლილების №498 2017/20/11. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის საფუძველზე.

ინსპექტირებაზე (ექსპერტიზაზე) წარმოდგენილი პროექტის შემსრულებელი.

შპს „გეოარქი“ ს/კ 205073711 ტელ. 2340670

<u>ინსპექტირებაზე (ექსპერტიზაზე) დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციები:</u>

1. პროექტის ელ. ვერსია:

<u>ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების თარიღი ან პერიოდი:</u>
<u>15/03/2018—25/03/2018</u>

დასკვნა

შპს „გეოარქი" ს/კ 205073711 დირექტორის ზურაბ ჩოჩია (პ/ნ 01008004354). განაცხადი №18-021. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე ქალაქ თბილისში, კაიროს ქუჩა №15-ში ერთსართულიანი სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები"-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის №41, 2017/01/28. ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილი ცვლილების №498, 2017/20/11. მიხედვით

წარმოდგენილ პროექტს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

იხ. გამოკვლევითი ნაწილი:
იხ. დანართი №1

გამოკვლევა

წარმოდგენილი განცხადების თანახმად დამკვეთის მიერ მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, კაიროს ქუჩა №15-ში ერთსართულიანი სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის, შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 იანვარის №41 დადგენილების მოთხოვნებთან ფარგლებში, რომელიც მოიცავს:

1. დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2. კონსტრუქცის ტიპების შეფასებას;
3. სიმაღლის და ფართობის შეფასებას;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6. მისაწვდომობის შეფასებას;
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
8. სახურავის ანაწყობების შეფასებას;
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასებას;
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
12. საჭიროების შემთხვევაში სხვა მოთხოვნების შეფასებას.

პროექტის განხილვა ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად

1. დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

3-ე თავის დებულებები არეგულირებს ყველა შენობისა და ნაგებობის კლასიფიცირებას გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ერთი დაკავებულობის ჯგუფი სასაწყობო ჯგუფი სწ-1 ქვეთავი 311. 311.2

ჯგუფი სწ-1. სასაწყობე (მუყაო და მუყაოს ყუთები), განლაგებულია მიწის პირა სართულზე 0.00 ნიშნულზე და მათი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი გამოითვლება 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. სწ-1. ჯგუფის დაკავებულობის მაქსიმალური ზღვარია 46.5 თითო დამკავებელზე. აღნიშნული ფართის სწ-1 ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 12 ადამიანი.

სულ შენობა-ნაგებობის დატვირთვაა 12 ადამიანი.

(იხილეთ ცხრილი №1)

ცხრილი №1

№	დაჯავებულობა.	დაჯავებულობის დატვირთვა	საერთო. დაჯ. დატვირთვა	მოთხოვნილი გზა-ჯარის რაოდენობა სიგანე		გათვალისწინებული გზა-ჯარის რაოდენობა სიგანე	
საწყობი	სწ-1	12	12	1 ც.	82 სმ.	2 ც.	2,87 მ 0,97 მ

პროექტი აკმაყოფილებს 3-ე თავის მოთხოვნებს, რაც ასახულია პროექტის შესაბამის გეგმებზე და ცხრილებში.

2. კონსტრუქცის ტიპების შეფასებას;

6-ე თავის დებულებები არეგულირებს შენობების კლასიფიცირებას კონსტრუქციის ტიპების მიხედვით და განსაზღვრავს შენობის სხვადასხვა ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობა ნაგებობის კონსტრუქცია შერჩეულია ცხრილი 601-ის მიხედვით. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის) და წარმოადგენს II-A ტიპის კონსტრუქციას, შესაბამისად სრულიად აკმაყოფილებს 503. ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის) მოთხოვნებს

პროექტი აკმაყოფილებს 6-ე თავის მოთხოვნებს, რაც ასახულია პროექტის შესაბამის გეგმებზე და ცხრილებში.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასებას;

5-ე თავის დებულებები არეგულირებს ასაგები ნაგებობებისა და არსებული ნაგებობების მიშენება-დაშენებების სიმაღლესა და ფართობს.

შენობა-ნაგებობის სიმაღლე და ფართობი განისაზღვრება 503. ცხრილის მიხედვით. 602. ქვეთავის საფუძველზე განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და 302-ე ქვეთავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებით.

II-A კლასის კონსტრუქციული ტიპის შენობებისათვის, 503. ცხრილის მიხედვით შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლეა 19.8 მ. პროექტით შემოთავაზებული სიმაღლეა 14,15 მ.

სწ-1. სასაწყობე ჯგუფისთვის, 503. ცხრილის მიხედვით სართულების მაქსიმალური რაოდენობაა 4 სართული. პროექტით შემოთავაზებულია 1 სართული. სწ-1. თავშეყრის ჯგუფის მაქსიმალური ფართობია 2420 მ^2. პროექტით შემოთავაზებულია 541 მ^2.

(იხილეთ ცხრილი №2 და ცხრილი №3)

ცხრილი №2

სიმაღლის შეზღუდვები		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. სასაწყობე ჯგუფი სწ-1	4 სართული	1 მიწისპირა სართული
	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
შენობის სიმაღლე =	19.8	14.15
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =	4 სართული	1 სართული
მიწის დონის ქვედა სართულის ეაოდენობა =	-------	-------

ცხრილი №3

ფართობის შეზღუდვები		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი (ცხრილი 503)	შემოთავაზებული ფართობი
1. სასაწყობე ჯგუფი სწ-1	2420 მ^2	541 მ^2
იატაკის საერთო ფართობი =	541 მ^2	
იატაკების რაოდენობა =	მიწისპირა 1 სართული	
შენობის საერთო ფართობი =	541 მ^2	

წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება 5-ე თავის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელებთან მისასვლელების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

10-ე თავი არეგურილებს გასასვლელი საშუალებების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობა-ნაგებობის 0,00 ნიშნულზე სწ-1. სასაწყობე ჯგუფის დაკავებულობის მაქსიმალური დატვირთვა 12 ადამიანია. ცხრილი 1015.1 და 1021.2 მიხედვით ესაჭიროება 1 გასასვლელი, წარმოდგენილ პროექტის 0.00 ნიშნულზე შენობიდან გამოსასვლელის რაოდენობაა 2.

10-ე თავის მიხედვით ყველა დამოუკიდებელი ფართის მიმართ გასასვლელების რაოდენობა ქვეთავი 1015 –(გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები)-ის მიხედვით იქნა შერჩეული, წარმოდგენილ პროექტში 1018.2 ცხრილის მიხედვითაა შერჩეული დერეფნის მინიმალური სიგანე. სტელაჟებს შორის გასასვლელი მანძილი შეადგენს 1 მეტრს.

გასასვლელთან მისადგომის საზღვრებში მოქცეული სავალი მანძილი უნდა გაიზომოს სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მოშორებული წერტილიდან. გასასვლელი მანძილები გასასვლელთან მისადგომ

სივრცეებში იზომება. მათში გასასვლელთან მისასვლელი საერთო სიგრძე არ იგულისხმება. ეს მანძილია რომლის გავლაც უწევს დამკავებელს სანამ უფრო მეტად დაცულ ნაწილში გასასვლელთან მივიდოდეს. სწ-1 თავშეყრის ჯგუფისთვის 1016.2 ცხრილის მიხედვით გასასვლელთან მისადგომის მაქსიმალური მანძილია საშხეფი სისტემის გარეშე 60 მ. ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 23 მ.

პროექტში მითითებული გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილი შეესაბამება 1016. ქვეთავის მოთხოვნებს.

პროექტი შეესაბამება 10-ე თავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება

შენობას არ გააჩნია გზა-კიბეები ვინაიდან ერთსართულიანია და მისი სართული პირდაპირ გამოდის მიწის დონეზე

სხვა გასასვლელი საშვალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. გასასვლელი საშუალებების კომპონენტების, გზა-კიბეების გარდა, გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია, მაგრამ არანაკლები 82 სმ-ის. შენობა ნაგებობას გააჩნია ორი გასასვლელი საშუალება: ცენტრალური ჟალუზის ტიპის კარის სუფთა გასასვლელის სიგანეა 2.9 მ. ხოლო მეორე ორფრთიანი კარის სუფთა გასასვლელის სიგანეა 1.9 მ.

კერძოდ დერეფნების მინიმალური სიგანე 1005.3.2 ქვეთავის და 1018.2 ცხრილის მიხედვითაა შერჩეული.

(იხილეთ ცხრილი №4)

ცხრილი №4

გასასვლელების რაოდენობა და სიგანე სასაწყობე ჯგუფი სწ-1-სთვის						
სართულები	გასასვლელების რაოდენობა		გასასვლელის სიგანე			
			კიბეები		გასასვლელის სხვა კომპონენტები	
	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1 მიწისპირა სართული	1	2	- -	- -	0,82 მ	2,87 მ 0,97 მ

პროექტი შეესაბამება 1005. ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასებას;

11-ე თავის დებულებები არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი საშუალებების დაგეგმარებას და მშენებლობას.

წარმოდგენილ პროექტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შენობის ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ საფეხურების გარეშე შესაძლებელია შენობაში მოხვედრა. პროექტი აკმაყოფილებს 1107.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს 11. თავის მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

602 ცხრილის მიხედვით (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით)

წარმოდგენილ პროექტში. ჩრდილოეთის მხრიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილია 30 მ. შესაბამისად გარე კედელს მოეთხოვება 0 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხოლო წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა

სამხრეთით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილია 5,25 მ. შესაბამისად გარე კედელს მოეთხოვება 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა

აღმოსავლეთით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილია 2,7 მ. შესაბამისად გარე კედელს მოეთხოვება 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა

დასავლეთით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1,0 მ. შესაბამისად გარე კედელს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხოლო წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა

705.8 ცხრილის მიხედვით (თავი 7 - ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის

საშუალებები).

წარმოდგენილ პროექტში. ჩრდილოეთის მხრიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის 30 მ. შესაბამისად დასაშვები ღიობის ფართობი შეუზღუდავია. პროექტით გათვალისწინებულია 15,6 %.

სამხრეთით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 5,25 მ. შესაბამისად დასაშვები ღიობის ფართობია საშხეფი სისტემებით 75%. საშხეპის გარეშე 25%. პროექტით წარმოდგენილია 2,45 %.

ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით შენობას ღიობები არ გააჩნია (იხილეთ ცხრილი №5 და №6)

ცხრილი №5

ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით			
შენობის ორიენტაცია	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი X (მ)	სწ-1 ჯგუფის დაკავებულობა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული
ჩრდილოეთი	X = 30	0	1
სამხრეთი	X = 5.25	1	1
აღმოსავლეთი	X = 2.7	1	1
დასავლეთი	X = 1	2	2

ცხრილი №6

გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნები ცხრილი 705.8-ის მიხ ედვით					
გარე კედელი (ჩრდილოეთ, სამხრეთ, დასავლეთ, აღმოსავლეთ)	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	კედლის ღიოებების ფართობი (კედლის %)			
		დასაშვები		გათვალისწინებული	
		დაცული	დაუცველი	დაცული	დაუცველი
ჩრდილოეთი	30 მ.	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		15.6 %
სამხრეთი	5.25 მ.	დაცული 75%	დაუცველი 25%		2.45 %
აღმოსავლეთი	2.7 მ.	დაცული 25%	დაუცველი 10%		0 %
დასავლეთი	1 მ.	დაცული 15%	დაუშვებელი		0 %

პროექტი აკმაყოფილებს 7 და 14. თავის მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასებას;

15-ე თავის დებულებებით რეგულირდება სახურავის ანაწყობებისა და სახურავზედა ნაგებობების დაგეგმარება, მასალები, მშენებლობა და ხარისხი.

სახურავმა უნდა დაიცვას შენობა-ნაგებობა ატმოსფერული ნალექებისგან და უზრუნველყოს გადახურვის კონსტრუქციის ქარმედეგობა.

წარმოდგენილ პროექტში შენობის გადახურვა მდებარეობს 13.4 ნიშნულზე, იგი ორ ქანობიანია და შედგება ლითონის კონსტრუქციაზე დამაგრაბული სენდვიჩპანელებით, მას გააჩნია 1 საათიანი ხანძარმედეგობის ხარისხი. ატმოსფერული ნალექებისგან დასაცავად მოწყობილია გადაბმების დამცავი შესაბამისი თუნუქის ფენილები და

წყლის გადამყვანი საშუალებები. გადახურვის (თავი 15 - სახურავის ანაწყობები და სახურავზედა ნაგებობები სახურავის ანაწყობები) შეესაბამება 1505.2 (B კლასის სახურავის ანაწყობები) ცხრილს.

წარმოდგენილი პროექტის სახურავის ანაწყობის კონსტრუქცია შეესაბამება 15-ე თავის მოთხოვნებს.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასებას

საპროექტო შენობა-ნაგებობის ცეცხლმედეგი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს 703. თავის მოთხოვნებს. წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია გარე კედლების ცეცხლმედეგობის 1-საათიანია ხარისხი სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან შენობას ემიჯნება არსებული შენობა ნაგებობა, მათ შორის მანძილია 1 მ. შესაბამისად საპროექტო კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხია 2-საათი.

რაც შეეხება შენობის ინტერიერს, შენობას არ გააჩნია შიდა ტიხრები.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს 7-ე თავის მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

9-ე თავის დებულებები განსაზღვრავს, სად არის აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, ასევე, ეხება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაგეგმარებას, დაყენებას და მუშაობას.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები მოწყობილობების დაყენება,პროექტში აგრეთვე გათვალისწინებულია 905 ქვეთავის მიხედვით სახაძრო მილდგარის მოწყობა.

(იხილეთ ცხრილი №7)

ცხრილი №7

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები		
გათვალისწინებულია, თუ არა ავტოსამზეფი სისტემა		არა
გათვალისწინებულია, თუ არა სახანძრო მილდგარების სისტემა		კი
გათვალისწინებულია, თუ არა კვამლის საკონტროლო სისტემა	სწ-1	არა
გათვალისწინებულია, თუ არა ხელის ცეცხლმაქრები		კი
გათვალისწინებულია, თუ არა სახანძრო განგაშის სისტემა		არა

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს 9-ე თავის მოთხოვნებს.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები უნდა მიესადაგოს 1602.1 ცხრილს, თავშეყრის ჯგუფის მიხედვით. იხილეთ ცხრილი №4.

წარმოდგენილ პროექტში. არ არის გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები, ვინაიდან საპროექტო შენობა წარმოადგენს ამ მიწის ნაკვეთზე არსებული კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, რომელიც შედგება კიდევ ერთი სასაწყობე და ერთი ადმინისტრაციული შენობისგან. აღნიშნული ადმინისტრაციული შენობა აღჭურვილია წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობებით, რომელიც გათვალისწინებულია ამ კომპლექსში მომუშავე მომსახურე პერსონალისთვის. აღნიშნული წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობები საპროექტო შენობიდან მდებარეობს 70 მეტრის რადიუსში და უკიდურესი წერტილიდან მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 150 მეტრს.

<u>დასკვნა</u>

შესაბამისად წარმოდგენილი პროექტი შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2017/01/28) ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილი ცვლილების მიხედვით №498 2017/20/11. პროექტს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

დასკვნას თან ერთვის (იხ. დანართი №1). არქიტექტორ დავით კურდღელიას დიპლომის ასლი, მის მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტების ჩამონათვალი და ცნობა სამუშაო ადგილიდან.

არქიტექტორი დ. კურდღელია

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 009031

This is to certify that Mr./Mrs. David Kurdgelia in the year 2002 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 11, 2002 Mr. David Kurdgelia is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector

Seal

Chairman of the State Examination Board

Dean

City Tbilisi September 30, 2002

Registration № 06497 Secretary

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2001 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 009031

მიეცა დავით ზაურის ძე კურდღელიას

მასზედ, რომ მან 2002 წელს დაამთავრა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

2002 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით

დავით ზაურის ძე კურდღელიას

მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია

რექტორი

ბ.პ.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 30 სექტემბერი, 2002 წელი

სარეგისტრაციო № 06497 მდივანი

არქიტექტორ დავით კურდრელიას მიერ შესრულებული

პროექტების ჩამონათვალი

1. ქ. ზუგდიდში მშენებარე საგანგებო სიტუაციების სამსახურის შენობის პროექტი.
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში ასაშენებელი საბავშვო ბაღის პროექტი.
3. ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩა № 89 სასტუმროს პროექტი.
4. ქ. ზუგდიდში, რუსთაველის № 90 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრა-ციული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი.
5. თბილისში, სოფ. დიღომში მირიან მეფის ქუჩა № 8, საოფისე და ტექმომსახურების ცენტრის პროექტი.
6. ქ. ზუგდიდში, რუსთაველის № 153 შენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი.
7. ქ. ზუგდიდში, სოხუმის № 12 ავტოსამრეცხაო კომპლექსის პროექტი.
8. ქ. ზუგდიდში, კიტიას № 21 კლინიკა „ნლი“ მესამე სართულის დაშენების პროექტი პროექტი.
9. ქ. ზუგდიდი თეატრის ქუჩა № 1 სასტუმროს პროექტი,
10. ზუგდიდი მუნიციპალიტეტი სოფ. განმუხური მრაავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი.
11. ზუგდიდი მუნიციპალიტეტი სოფ. ანაკლია მრაავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი.
12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციული შენობა ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტი.
13. ქ. ზუგდიდი გ.გულუას ქუჩა № 6 ბენზოგასამართი სადგურის პროექტი.

არქიტექტორი: დ. კურდღელია

შ.პ.ს საპროექტო-სამშენებლო კომპანია
“დიზაინ-დ”
საინდ.კოდი 220415389
მის: ზუგდიდი, თეთრი გიორგის ქ.№1
ტელ: 574717771

L.T.D
DESIGNINGCONSTRUCTION
COMPANY „dizain-d”
220415389
Tel: 574717771

5 სექტემბერი 2017წ

ცნობა

ცნობა ეძლევა დავით კურდღელიას (პნ. 19001006629) მასზედ, რომ ის 2009 წლის მაისიდან დღემდე მუშაობს შ.პ.ს. საპროექტო სამშენებლო კომპანია „დიზაინ დ"-ში საპროექტოს მთ. არქიტექტორის პოზიციაზე.

შ.პ.ს საპროექტო-სამშენებლო კომპანია ”დიზაინ-დ”-ს

დირექტორი: /ბ.ფოგილავა/